GOV 2 19 00025586

24/06/2019

საქართველოს პარლამენტის ჯანმრთელობის დაცვისა და
სოციალურ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარეს,
ბატონ აკაკი ზოიძეს

ასლი: საქართველოს პარლამენტის აპარატის
საორგანიზაციო დეპარტამენტს

ბატონო აკაკი,

საქართველოს პარლამენტის წევრების: ირაკლი (დაჩი) ბერაიას, სულხან მახათაძის, დავით სონღულაშვილის, ირაკლი მეზურნიშვილის და გურამ მაჭარაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილ „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ (№07-3/372; 12.06.2019) საქართველოს კანონის პროექტებთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ ვეთანხმებით აღნიშნულ საკანონმდებლო პაკეტს. თუმცა, ვინაიდან წარმოდგენილი ცვლილების თანახმად, თამბაქოს ახალ ნაწარმზე დატანილი სამედიცინო გაფრთხილება არ მოიცავს პიქტოგრამას, შემდგომი გაურკვევლობის თავიდან აცილების მიზნით, მიზანშეწონილია დაზუსტდეს „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: „ვ) სამედიცინო გაფრთხილება – თამბაქოს მოწევის მავნებლობის შესახებ გამაფრთხილებელი წარწერა, რომელიც უნდა მოიცავდეს შესაბამის პიქტოგრამას, გარდა ამ კანონის მე-6 მუხლის 2^2 პუნქტით გათვალისწინებული სამედიცინო გაფრთხილებისა, რომელიც არ მოიცავს პიქტოგრამას.“.
ამასთან, აღნიშნულ კანონპროექტებთან დაკავშირებით, გიგზავნით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პოზიციას (GOV 4 19 00025425; 21/06/2019).

პატივისცემით,

საქართველოს მთავრობის საპარლამენტო მდივანი

ნათია მიქელაძე

21/06/2019

GOV 4 19 00025425

საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ განიხილა „ელექტრონული მთავრობის“ პროგრამაში (სარეგისტრაციო N24751) ატვირთული საქართველოს პარლამენტის წევრების: ირაკლი (დაჩი) ბერაიას, სულხან მახათაძის, დავით სონღულაშვილის, ირაკლი მეზურნიშვილის და გურამ მაჭარაშვილის მიერ საკანონმდებლო ინიციატივის წესით საქართველოს პარლამენტში წარდგენილი საქართველოს კანონების პროექტები: „თამბაქოს კონტროლის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“, „რეკლამის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“, „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ და „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე“ და „საქართველოს საგადასახადო კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტთან დაკავშირებით გაცნობებთ, რომ მიზანშეწონილია პროექტით გათვალისწინებული საქართველოს საგადასახადო კოდექსის პროექტის 188-ე მუხლის პირველი ნაწილის შენიშვნის პირველი ნაწილი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„1. ამ ცხრილის მე-3 გრაფაში მითითებული 2401, 2403 11 000 00, 2403 19 000 00 და 2403 91 000 00 საქონლის მიწოდება დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ იგი დაფასოებულია ნეტო-მასით 50 ან 100 გრამიან პირველად საფუთავებში, გარდა ფინანსთა მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული შემთხვევისა. ამასთან, ამ ნაწილით გათვალისწინებული საქონლის პირველად საფუთავებში დაფასოება არ წარმოადგენს აქციზური საქონლის წარმოებას.“.

ავტორები:

მაჭავარიანი ივანე (მინისტრი):